



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი  
2010 წლის 16 დეკემბერი

არაოფიციალური თარგმანი

**რეზოლუცია № 1960 (2010)****მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 6453-ე სხდომაზე  
2010 წლის 16 დეკემბერს***უშიშროების საბჭო,*

კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას, რომ ურთიერთთანამშრომლობის პირობებში გააგრძელებს და სრულად განახორციელებს რეზოლუციებს 1325 (2000), 1612 (2005), 1674 (2006), 1820 (2008), 1882 (2009), 1888 (2009), 1889 (2009) 1894 (2009) და უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის ყველა შესაბამის განცხადებას,

მიესალმება გენერალური მდივნის 2010 წლის 24 ნოემბრის ანგარიშს (S/2010/604), მაგრამ ღრმად შეშფოთებულია იმის გამო, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებში პროგრესი წელი ტემპით მიმდინარეობს და აღნიშნავს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობა მსოფლიო მასშტაბით ხდება, რაც დოკუმენტირებულია კიდევ გენერალური მდივნის ანგარიშში,

კიდევ ერთხელ გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას, რომ მიუხედავად მის მიერ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, მრავალჯერადი დაგმობისა, აგრეთვე, მიუხედავად შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებისადმი ამგვარი ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოწოდებისა, ისინი მაინც გრძელდება, ზოგ შემთხვევაში კი სისტემატურ, ფართოდ გავრცელებულ სახეს იღებს და სისასტიკის შემამოფოთებელ დონეს აღწევს,

კიდევ ერთხელ აღნიშნავს აუცილებლობას, კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოებმა და არასახელმწიფო მხარეებმა, შესაბამისი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, სრულად შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები, მათ შორის სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვის კუთხით,

კიდევ ერთხელ აღნიშნავს საჭიროებას, რომ სამოქალაქო და სამხედრო ლიდერებმა, დადგენილი სამეთაურო პრინციპის შესაბამისად, მოახდინონ საკუთარი ვალდებულებებისა და პოლიტიკური ნების დემონსტრირება სექსუალური ძალადობის

პრევენციისა თუ დაუსჯელობის აღმოფხვრის მიზნით და ანგარიშვალდებულების გასამლიერებლად; ეს პრინციპი ასევე მოიცავს იმას, რომ უმოქმედობა წარმოშობს გზავნილს, რომლის მიხედვითაც კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობა დასაშვებია; შეახსენებს სახელმწიფოებს პასუხისმგებლობას, რომ დასრულდეს დაუსჯელობა და დაისაჯონ გენოციდზე, კაცობრიობის წინაშე დანაშაულზე, საომარ დანაშაულებებსა და სამოქალაქო პირების მიმართ ჩადენილ სხვა აშკარა დანაშაულებებზე პასუხისმგებელი პირები. ამ თვალსაზრისით, შეშფოთებით აღნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მხოლოდ მცირე რაოდენობაა გასამართლებული. ამასთან, აცნობიერებს, რომ კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში სამართლის ეროვნული სისტემები შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს დასუსტებული,

*მიესალმება* პროგრესს, რაც გამოიხატება ექსპერტთა გუნდის შექმნაში, რომლის წევრებიც, 1888 რეზოლუციის (2009) შესაბამისად, ეროვნულ უწყებებს კანონის უზენაესობის გაძლიერებაში ეხმარებიან; კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ჯგუფების ოპერატიულად გაგზავნის მნიშვნელობას იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებული პრობლემები წარმოიქმნება შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის კუთხით, რაც ადგილობრივი მთავრობის თანხმობით უნდა განხორციელდეს,

*აღიარებს*, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა მათ ტერიტორიასა და იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის ადამიანის უფლებების პატივისცემასა და უზრუნველყოფაზე, როგორც ეს საერთაშორისო სამართლითაა განსაზღვრული,

*კიდევ ერთხელ ადასტურებს*, რომ მოქალაქეთა დაცვის უზრუნველყოფის ყველა სათანადო ზომის მიღებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკისრებათ,

*შეახსენებს*, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ქალებისა და ბავშვების, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენლების, სპეციალურ დაცვასაც უზრუნველყოფს, ვინაიდან ისინი შეიძლება განსაკუთრებული რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ.

*კიდევ ერთხელ ადასტურებს*, რომ დაუსჯელობის აღმოფხვრა გადაწყვეტია, რათა კონფლიქტის ან აღდგენის პროცესში მყოფი საზოგადოება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ წარსულში ჩადენილ დანაშაულებებს გაუმკლავდეს და მან მომავალში ამგვარი დანაშაულებების პრევენციაც მოახდინოს. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლისა და შერიგების მექანიზმების სრული დიაპაზონი, მათ შორის ეროვნული, საერთაშორისო და "შერეული" სისხლის სამართლის სასამართლოები და ტრიბუნალები, სიმართლისა და შერიგების კომისიები და აღნიშნავს, რომ ამგვარ მექანიზმებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ არა მხოლოდ სერიოზულ დანაშაულებებზე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, არამედ მშვიდობას, სიმართლის დადგენას, შერიგებასა და მსხვერპლთა უფლებების დაცვას,

*შეახსენებს*, რომ სექსუალური ძალადობის ზოგი სამართალდარღვევა შეტანილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტსა და სისხლის სამართლის სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალების წესდებებში,

*კიდევ ერთხელ ადასტურებს*, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოებისთვის, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის ჯანდაცვაზე, ფსიქოლოგიურ თუ იურიდიულ დახმარებასა და სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის სერვისებზე წვდომის გაზრდა, განსაკუთრებით სოფლებში და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით,

*მიესალმება* წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შეტანილია სამშვიდობო ოპერაციების სპეციალური კომიტეტის ანგარიშში (A/64/19) ადეკვატური შესაძლებლობების საჭიროების შესახებ; მიესალმება მკაფიო, შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას, რაც სამშვიდობო მისიებს საშუალებას აძლევს მათი მანდატით განსაზღვრული ყველა ამოცანა, მათ შორის სექსუალური ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა განახორციელონ; ხაზს უსვამს მოქალაქეთა დაცვის საკითხებში, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტების დროს, სექსუალური ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და აღმოფხვრის კუთხით მისიის ხელმძღვანელობის ჩართულობის მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისიის ყველა კომპონენტისა თუ ხელმძღვანელობის ყველა დონის სათანადო ინფორმირებულობა და მისიის მანდატში ჩართულობა, ასევე, მათი შესაბამისი პასუხისმგებლობები; მიესალმება პროგრესს, რომელიც გენერალური მდივნის მიერ მოქალაქეთა დაცვის მანდატების სამუშაო ინსტრუმენტების შემუშავების თვალსაზრისით განხორციელდა და მოუწოდებს იმ ქვეყნებს, რომელთა ჯარი და პოლიციაც მონაწილეობს მისიებში სრულად გამოიყენონ ეს მნიშვნელოვანი მასალები და მათ შესახებ ანგარიში წარმოადგინონ,

*აღიარებს* გენერალური მდივნის ძალისხმევას, რომელიც ისეთი საკითხების გადასაწყვეტადაა მიმართული, როგორცაა ოფიციალურ სამშვიდობო პროცესებში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა, იმ მედიატორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მონიტორების ნაკლებობა, რომლებსაც სექსუალური ძალადობის საკითხებში სპეციალური ტრენინგი აქვთ გავლილი და, ასევე, გაეროს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში წამყვან მედიატორებად ქალების ნაკლებობა; მიესალმება მომავალში ამგვარ ძალისხმევას,

*მიესალმება* სამშვიდობო მისიებში ქალთა სამოქალაქო, სამხედრო და პოლიციის ფუნქციებით ჩართვას; აღიარებს, რომ მათმა არსებობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თემების წარმომადგენელი ქალების მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადებას,

*განიხილა* გენერალური მდივნის 2010 წლის 24 ნოემბრის ანგარიში (S/2010/604) და ხაზს უსვამს, რომ რეზოლუცია მიზნად არ ისახავს რაიმე იურიდიული განსაზღვრების მიცემას, წარმოადგენს თუ არა გენერალური მდივნის ანგარიშში აღნიშნული სიტუაციები შეიარაღებულ კონფლიქტებს ჟენევის კონვენციისა და მისი დამატებითი პროტოკოლების კონტექსტში; ასევე, წინასწარ არ გამოაქვს დასკვნა ამ სიტუაციებში მონაწილე არასახელმწიფოებრივი მხარეების იურიდიული სტატუსის შესახებ.

1. *კიდევ ერთხელ ადასტურებს*, რომ სექსუალურ ძალადობას, როდესაც ის გამოყენებულია, როგორც ომის ტაქტიკა ან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართო და სისტემატური შეტევის ნაწილი, შეუძლია მნიშვნელოვნად გაამწვავოს და გაახანგრძლივოს შეიარაღებული კონფლიქტი და ხელი შეუშალოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენას; ადასტურებს, რომ სექსუალური ძალადობის ამ ქმედებების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ნაბიჯებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში; გამოხატავს მზადყოფნას, საბჭოს დღის წესრიგში არსებული სიტუაციების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებში ფართოდ გავრცელებული და სისტემატური ხასიათის მქონე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ;

2. *კიდევ ერთხელ მოითხოვს* შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარისგან, დაუყოვნებლივ შეწყდეს სექსუალური ძალადობის ყველანაირი ქმედება;

3. *ხელს უწყობს* გენერალურ მდივანს, 1820 (2008) და 1888 (2009) რეზოლუციების საფუძველზე წარდგენილ წლიურ ანგარიშში დეტალური ინფორმაცია შეიტანოს შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე იმ მხარეების შესახებ, რომლებზეც გაუპატიურების თუ სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების ჩადენის ან მათზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით სარწმუნო ეჭვი არსებობს. აგრეთვე, აღნიშნულ წლიურ ანგარიშებში დანართის სახით შეიტანოს იმ მხარეთა ჩამონათვალი, რომლებზეც უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში მყოფ შეიარაღებულ კონფლიქტებში გაუპატიურების თუ სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების ჩადენის ან მათზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით სარწმუნო ეჭვი არსებობს; გამოხატავს განზრახვას, გამოიყენოს ეს სია საფუძველად, რათა გაერომ უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება აღნიშნულ მხარეებზე და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ზომები სანქციათა კომიტეტების პროცედურების შესაბამისად;

4. *მოითხოვს* გენერალური მდივანისგან, წინამდებარე რეზოლუციის შესაბამისად და მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, სიაში შეტანისა და სიიდან ამოღების კრიტერიუმები იმ მხარეებს მიუსადაგოს, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან მის მიერ მომზადებულ ანგარიშში შეიარაღებული კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის შესახებ, მისივე A/64/742-S/2010/181 ანგარიშის 175, 176, 178 და 180 პარაგრაფების შესაბამისად;

5. *მოუწოდებს* შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მიიღონ და განახორციელონ სპეციალური და დროში განსაზღვრული ვალდებულებები. ეს ვალდებულებები უნდა მოიცავდეს სექსუალური ძალადობის ამკრძალავი მკაფიო და გასაგები ბრძანებების გაცემას ხელმძღვანელობის ყველა დონეზე და სექსუალური ძალადობის აკრძალვას ქვეყნის კოდექსში, სამხედრო სავიწრო სახელმძღვანელოებში ან მათ ეკვივალენტურ დოკუმენტებში; ამას გარდა, მოუწოდებს მხარეებს მიიღონ და განახორციელონ სპეციალური ვალდებულებები ბრალდების დროული გამოძიების თვალსაზრისით, რათა დანაშაულის ჩამდენმა პირებმა პასუხი აგონ;

6. *მოითხოვს* გენერალური მდივანისგან, თვალყური ადევნოს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში არსებული შეიარაღებული კონფლიქტების იმ მხარეთა მიერ, რომლებიც გაუპატიურებასა თუ

სხვა სახის სექსუალურ ძალადობაში მონაწილეობენ და რეგულარულად მიაწოდოს საბჭოს შესაბამისი ანგარიშები და ინსტრუქციები;

7. *კიდევ ერთხელ გამოხატავს განზრახვას*, შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში, სამიზნე სანქციების მიღებისას ან განახლებისას, საჭიროების შემთხვევაში, მხედველობაში მიიღოს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, მოუწოდებს გაეროს ყველა სამშვიდობო და სხვა შესაბამის მისიებს, ასევე, გაეროს სააგენტოებს, განსაკუთრებით სამუშაო ჯგუფს ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საკითხებში, გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საკითხებში და გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის საკითხებში, მიაწოდონ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის სანქციათა კომიტეტს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის სანქციათა კომიტეტის მონიტორინგისა და ექსპერტთა ჯგუფებს, ყველა ინფორმაცია სექსუალური ძალადობის შესახებ;

8. *მოითხოვს* გენერალური მდივნისგან, საჭიროებისამებრ და თითოეული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშგების მექანიზმები კონფლიქტთან დაკავშირებულ სექსუალურ ძალადობაზე, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებში, პოსტკონფლიქტურ და 1888 რეზოლუციის (2009) შესაბამის სხვა სიტუაციებში გაუპატიურებაზე, რაც სავსე დონეზე თანმიმდევრულ და კოორდინირებულ მიდგომას უზრუნველყოფს; ასევე, მოუწოდებს გენერალურ მდივანს, ითანამშრომლოს გაეროს აქტორებთან, ეროვნულ ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლებთან და ქალთა ჯგუფებთან, რათა გაუმჯობესდეს მონაცემთა შეგროვება და გაუპატიურებისა თუ სექსუალური ძალადობის სხვა შემთხვევების, ტენდენციებისა და პატერნების ანალიზი და ამით ხელი შეუწყოს საბჭოს მიერ შესაბამისი ქმედებების, მათ შორის მიზანმიმართული და ეტაპობრივი ღონისძიებების, განხილვას; ამასთან, პატივი სცეს ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ უშიშროების საბჭოს 1612 (2005) და 1882 (2009) რეზოლუციების საფუძველზე განხორციელებული მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების ერთიანობასა და სპეციფიკას;

9. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, განაგრძოს ძალისხმევათა სრული გამჭვირვალობის, თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელსა და კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს შორის;

10. *მიესალმება* გენდერის საკითხებში მრჩეველების მუშაობას; მოელის სამშვიდობო მისიებში ქალთა დაცვის საკითხების კუთხით მეტი მრჩეველის დანიშვნას, 1888 რეზოლუციის (2009) შესაბამისად; აღნიშნავს მათ პოტენციურ წვლილს მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშგების მექანიზმებში, რომლებიც წინამდებარე რეზოლუციის მე-8 პუნქტის თანახმად უნდა ჩამოყალიბდეს;

11. *მიესალმება* გენერალური მდივნის მიერ სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისთვის სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სიტუაციაზე დაფუძნებული სატრენინგო მასალების შემუშავებას და მოუწოდებს წევრ

სახელმწიფოებს, გამოიყენონ ისინი ცნობარის სახით, გაეროს სამშვიდობო ოპერაციების მომზადებისა და გადასროლის დროს;

12. *ბაზს უსვამს*, რომ მისიებმა, მათი მანდატის განხორციელების მიზნით, ეფექტური კომუნიკაცია უნდა დაამყარონ ადგილობრივ თემებთან და მოუწოდებს გენერალურ მდივანს, გააუმჯობესოს ამ კუთხით მათი შესაძლებლობები;

13. *გამოხატავს განზრახვას*, ყურადღებით განიხილოს სექსუალური ძალადობა მანდატის ავტორიზაციისა თუ განახლებისას და მოითხოვოს გენერალური მდივანისგან, საჭიროებისამებრ შეიტანოს გენდერული ექსპერტიზა მისიათა ტექნიკურ შეფასებაში;

14. *მოუწოდებს უწყებებს*, რომლებიც კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ გაეროს აქციაში მონაწილეობენ, აგრეთვე გაეროს სისტემის სხვა შესაბამის ნაწილებს, განაგრძონ კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის საკითხებში გენერალური მდივანის ზემოაღნიშნული სპეციალური წარმომადგენლის მუშაობის მხარდაჭერა, გააძლიერონ თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა გაძლიერდეს კოორდინაცია და თავიდან იყოს აცილებული გადაფარვა სათაო ოფისისა თუ ქვეყნის დონეებზე და გაუმჯობესდეს სისტემური რეაგირება;

15. *მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს*, სამხედრო და პოლიციის მეტი ქალი პერსონალი ჩართონ გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში და სამხედრო თუ პოლიციის მთელ პერსონალს ჩაუტარონ შესაბამისი ტრენინგები, მათ შორის სექსუალური და გენდერული ძალადობის შესახებ, რათა მათ უკეთ შეასრულონ საკუთარი მოვალეობები;

16. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, განაგრძოს და გააძლიეროს ძალისხმევა სექსუალური ექსპლოატაციისა და შეურაცხყოფის შემთხვევაში გაეროს სამშვიდობო და ჰუმანიტარული პერსონალის მხრიდან ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით; დამატებით მოითხოვს მისგან, განაგრძოს კონტიგენტის გადასროლის წინა მომზადებასა და წვრთნაში სამხედრო და პოლიციის პერსონალის უზრუნველყოფა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელოთი; ასევე, დაეხმაროს მისიებს შეიმუშაონ სიტუაციის შესაბამისი პროცედურები სავლელ დონეზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ და უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა ქვეყნებისთვის, რომელთა ჯარი და პოლიციაც მონაწილეობს მისიებში, რათა კონტიგენტის გადასროლის წინა მომზადებასა და წვრთნაში შეიტანონ სამხედრო და პოლიციის პერსონალისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ წინასწარი დისლოცირებისა და შესავალ ტრენინგში შეიტანონ;

17. *სთავაზობს* სპეციალურ წარმომადგენელს კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის საკითხებში, წარმოადგინოს ინსტრუქციები სექსუალური ძალადობის შესახებ, 1888 რეზოლუციის (2009) შესაბამისად;

18. *სთხოვს* გენერალური მდივანს, განაგრძოს საბჭოსთვის წლიური ანგარიშების წარდგენა 1820 (2008) და 1888 (2009) რეზოლუციების იმპლემენტაციის

შესახებ და შემდეგი ანგარიში აღნიშნულ თემაზე 2011 წლის დეკემბერში წარადგინოს, ხოლო წინამდებარე რეზოლუცია უნდა მოიცავდეს:

(ა) ინფორმაციის დროული და ეთიკური მოპოვების კოორდინაციისა და სტრატეგიის დეტალურ გეგმას;

(ბ) ინფორმაციას მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშგების მექანიზმების განხორციელების კუთხით მიღწეული პროგრესის შესახებ, რომელიც მე-8 პარაგრაფშია აღგ

(გ) დეტალურ ინფორმაციას შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეების შესახებ, რომელთა შესახებაც საფუძვლიანი ეჭვი არსებობს გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების ჩადენის თუ მათზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით; ასევე, დანართს, რომელშიც მოცემული იქნება იმ მხარეთა ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც საფუძვლიანი ეჭვი არსებობს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში არსებული შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებში გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების ჩადენის თუ მათზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით;

(დ) განახლებულ ინფორმაციას სექსუალური ძალადობის საკითხებში გაეროს მისიების პასუხისმგებელი პირების მხრიდან რეზიდენტ კოორდინატორთან/ჰუმანიტარული საკითხების კოორდინატორთან (RC/HC), ქვეყანაში გაეროს გუნდთან და, არსებობის შემთხვევაში, ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან, შეიარაღებული კონფლიქტებისას სექსუალური ძალადობის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან და/ან ექსპერტთა გუნდთან, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მჭიდრო თანამშრომლობისთვის განხორციელებული ძალისხმევის შესახებ;

19. იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.